შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:
ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა;
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა.

ა/ განმარტებითი ბარათი

1 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ს/კ 01.10.06.001.285. საპროექტო შენობა წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს. შენობა 9 სართულიანია მიწისქვეშა ავტოსადგომით. 0.00 შეესაბამება 504.00მ-ს. კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი იქნება ბრტყელი. საძირკველი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ფილა. დღეისათვის დამთავრებულია პირველი რიგის სამუშაოები და დაწყებულია ქვაბულის დამუშავება.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართობი----------1781.00მ^2;
--საერთო ფართობი----------7505.60მ^2;
--საოფისე ფართობი----------486.40მ^2;
--ავტოსადგომის ფართობი----------2199.20მ^2;
--კონსტრუქციული სიმაღლე----------35.40მ;
--სამშენებლო მოცულობა----------24685.60მ^3

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი ფენები:

--ფენა №1 – ნაყარი გრუნტი, გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. დაფარულია კორდით. წარმოდგენილია კოშტოვანი თიხნარით, სამშენებლო ნაგვის ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 1.0 – 2.0 მ – მდეა;

--ფენა №2 – თიხნარი, თიხის თხელი შუაშრეებით გავრცელებულია მთელ უბანზე 1.0 – 2.0 მ სიღრმიდან. წარმოდგენილია მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარებით, მათში 0.2 მ - მდე სიმძლავრის მოყვითალო ფერის თიხის შუაშრეებით, რომლებშიც ქვიშის მინარევი აღინიშნება;

--ფენა №3 – თიხა, ძლიერგამოფიტული სუბარგილიტების შუაშრეებით განლაგებულია 10.0 – 13.0 მ. სიღრმიდან წარმოდგენილია გამოფიტვის ქერქის დისპერსიული ზონის ძლიერ გამოფიტული, სახეშეცვლილი, გათიხებული, შავი, მონაცრისფრო თიხოვანი ქვიშაქვებისა და სუბარგილიტებისაგან. ფენის გახსნილი სიმძლავრე 2.0 მეტრია.

გრუნტის წყალი სამშენებლო ტერიტორიაზე დაფიქსირდა.

ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2 საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 გვ. 481, პ1 T=13.00თვე. გვ 477 პ 16-ის მიხედვით T=13.00+0.50 x 4.86=15.50თვე. გვ 477 პ 19-ის და გვ 483 პ 12-ის მიხედვით T=15.50+0.50 x 13.00=22.00თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=22.00+2.50=24.50თვე. გვ 4 პ 17-ის თანახმად **T=24.50 x 1.15=28.00 თვე**.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით მთლიანი მოცულობის დატვირთვით და გატანით. არსებულ ქსელებთან გრუნტის დამუშავება მოხდეს მარტო ხელით. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა გათვალისწინდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნას შემოტანილი ადგილზე.
სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტდეს არსებული მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობა.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.
დამუშავების სიღრმე 1.5მ-მდე, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:0.67;
--თიხა, თიხნარი 1:0
დამუშავების სიღრმე 3.0მ-მდე, გრუნტი დამუშავდეს:
--ნაყარი 1:1;
--თიხა, თიხნარი 1:0.25

4 სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ითვალისწინებს კოშკური ამწე **Liebherr65K.1-**ს /იხილე გრაფიკული ნაწილი, ნახ. მო-1 და მო-2/ და სტაციონალური ბეტონის ტუმბოს გამოყენაბას. კოშკური ამწე დაყენდება "7-8" ღერძების შორის ქვაბულის ძირზე მოჩარჩოებულ მონაკვეთში. ამწის მუშაობის დამთავრების შემდეგ მოხდეს მექანიზმის დემონტაჟი და მონაკვეთის გადახურვების აღდგენა.

კოშკური ამწის მუშაობისას გათვალისწინდეს:
--ისრის შემობრუნების შეზღუდვა;
--ურიკის მოძრაობის შეზღუდვა;
--საშიში ზონის ზომები /იხილე СНиП III-4-80, გვ 12. ცხრილი 1/, R=10.00+15.00=25.00;
--ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეული სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით.

სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ეტაპების მიხედვით:

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეოთხე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------**180 დღე;**

--მეხუთე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**300 დღე;**

--მეექვსე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**60 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**120 დღე;**

--მერვე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა, ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**90 დღე;**

--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**120 დღე;**

--მეათე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**45 დღე.**

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:
კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.
კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.
კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.
კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.
გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.
საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.
მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

Liebherr 65K.1-ის ტექნიკური დახასიათება

1	ტვირთამწეობა	4.50-1.35ტნ
2	ისრის შვერა	43.00მ
3	აწევის სიმაღლე	34.60—49.30მ
4	საყრდენი ბაზა	4.20x4.20

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-**ის ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად	60.00მ
	-ჰორიზონტალურად	200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!

სამონტაჟო სქემა მ1:300



შენიშვნები: 1. ამწის დაყენება მოხდეს მოჩარჩოებულ მონაკვეთში ქვაბულის ძირზე. მექანიზმის დემონტაჟის შემდეგ მოხდეს მანაკვეთის გადახურვის ფილების აღდგენა.
2. სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად შეიძლება მოხდეს ამწის მარკის შეცვლა.

A-3	შენიშვნა:

პირობითი ნიშნები:

დამკვეთი: ზვიად ქოიავა
პირ.№02001000577

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დიდი დიღომი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. (მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი)

დამკვეთი		ზვიად. ქოიავა
არქიტექტორი		ნ. ზსუზური
		ლ. ფირფილაშვილი
დაამუშავა		ბ. გოგოლაური

თბილისი 2023 წელი.

მასშტაბი		ნახაზი:
1:300		სამონტაჟო სქემა

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი	მო-2	2

სამშენებლო გენგეგმა 1:300



ექსპლიკაცია

1 საპროექტო სახლი
2 კომპაშარი ამწე
3 დროებითი ღია სასაწყობო
4 დროებითი ბიოტუალეტი
5 სტაციონალური ტუმბო
6 ბეტონის მიმსერი
7 ასაღები ლითონის კონტეინერი
8 დროებითი ორფრთიანი ბიშკარი
9 დროებითი ღობე
10 სამშენებლო მოედნის "ოთახი
11 დროებითი დახურული საწყობი
12 დროებითი კვების "ოთახი"

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო სახლი
-დროებითი "ნაგებობა"
-დროებითი ღობე
-ასაღები კონტეინერი
-ამწის სამუშაო ზონა
-ამწის საშიში ზონა
-საპროექტო შენობის მიწისძვეშა მოცულობის გარე კონტური
-არსებული ქსელები

სამუშაოების დროს გათვალისწინდეს არსებული ქსელების და ხეების ადგილმდებარეობა და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები

A-3	

ქ.თბილისი, დიდი დიღომი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.

დამკვეთი: გვიად ქოიავა
პირ.№02001000577

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტორი ბ. ფსუტური
ლ. ფირფილაშვილი
დაამუშავა ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2023წ

ბ/ კალენდარული გეგმა 28.0 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები																											
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28
			15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15
	მშენებლობის მთლიანი რიგები																													
	მშენებლობის განხორციელების პირველად პირობის სამუშაოები																													
IY	შენობა-ნაგებობის მთლის სამუშაოების ჩატარება	180																												
	შენობა-ნაგებობის შუაბის მოწყობის სამუშაოები																													
	შენობა-ნაგებობის საბრძანდის მოწყობის სამუშაოები																													
	პირველად კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე																													
Y	პირველად კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულზე																													
	0.00–6.000-მდე	60																												
	6.00–12.400-მდე	60																												
	12.40–18.800-მდე	60																												
	18.80–25.200-მდე	60																												
	25.20–31.600-მდე	60																												
YI	შენობა-ნაგებობის სახურავისა და გარსახურის მოწყობა.	60																												
YII	აივანზიდი კონსტრუქციების მოწყობა	120																												
YIII	შენობა-ნაგებობის ღობეარშია სამაშიო სარემონტო სამუშაოების სამშენებლო—ტექნიკური ტესტების მოწყობა	90																												
	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი																													
IX	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	120																												
X	მოწის ნაჭდების ძირითადი სამუშაოები	45																												

შენიშვნები:
1. მშენებლობის განსაზღვრული გარდ ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

დაამუშავა: / ბ. მოსულიშვილი /